ხელშეკრულება #GOG/ET/C-124

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დართლოსა და სოფელ კესელოში მდებარე ციხე კოშკების რესტავრაცია რეაბილიტაციისა და სოფელ დართლოს ეკლესიის კონსერვაციის დეტალური საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

2019.07.17 14:45:26 +04'00'

ერთის მხრივ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ს.კ. 206074193; მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის გიორგი შენგელიას სახით და მეორე მხრივ, შპს არქიტექსი, ს.კ. 404479408; მის: თბილისი, ზემო ვაკის ქუჩის ბოლო, ბ.6 (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვლადიმერ ტეფნაძის სახით, შემსყიდველის მიერ გამოცხადებული SPA190003119 ელექტრონული ტენდერის შედეგების გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას ქ. თბილისში შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელ ორგანიზაციას შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელზედაც მხარეთა შორის გაფორმდა ხელშეკრულება.

1.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელთანაც შემსყიდველმა გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით (შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია) გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დართლოსა და სოფელ კესელოში მდებარე ციხე კოშკების რესტავრაცია რეაბილიტაციისა და სოფელ დართლოს ეკლესიის კონსერვაციის დეტალური საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება (შემდგომში „მომსახურება“), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მიწოდებული მომსახურება და უზრუნველყოს ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.2. კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი: 71300000 - საინჟინრო მომსახურებები; შესყიდვის კონკრეტული ობიექტი 71320000 - საინჟინრო-საპროექტო მომსახურება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 56056 (ორმოცდათექვსმეტი ათას ორმოცდათექვსმეტი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ყველა ხარჯსა და მოსაკრებელს, რომელიც დაკავშირებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით (შესყიდვის

ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია) (შემდგომში „დანართი N1“) გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისთვის, საპროექტო სახარჯთარიცხვო დოკუმენტაციის შეთანხმების ხარჯს (ასეთი ხარჯის არსებობის შემთხვევაში) და მიმწოდებლისთვის გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3.3. გასაწევი მომსახურების რაოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია ხელშეკრულების დანართი N1-ში (პუნქტი N1.3.) (შემდგომში ხარჯთაღრიცხვა).

3.4. დანართი N1 და ხარჯთაღრიცხვა წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები და მიწოდების ვადები

4.1. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები, მომსახურების მიწოდებისთვის გასატარებელი ღონისძიებები, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემადგენლობა, მომსახურების მიწოდების პირობები და მიმწოდებლისთვის დადგენილი სხვა მოთხოვნები, რომელიც აუცილებელი იქნება მომსახურების გაწევისათვის მოცემულია ხელშეკრულების დანართი N1-ში.

4.2. მომსახურების მიწოდებისას მიმწოდებელმა უნდა გაითვალისწინოს საქართველოში მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი ყველა მოთხოვნა, რომელიც დაკავშირებული იქნება მომსახურების გაწევასთან, ასევე მიწოდებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნული მომსახურებისათვის დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებსა და მოთხოვნებს.

4.3. მომსახურების მიწოდების ვადები მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1-ში.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

5.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

5.2.1. მომსახურების მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

5.2.2. მიწოდებული მომსახურების ხარისხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, მომსახურების განხილვა-შეთანხმება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შესაბამისი ინსპექტირების დასკვნის შედგენა.

5.2.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

5.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტების შეფასების სამსახურის არქიტექტორი ჯუანშერ შველიძე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. თითოეული ეტაპით გათვალისიწნებული მომსახურებისა და საბოლოო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება განხორციელდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე.

6.2. მომსახურების საბოლოო მიღება განხორციელდება ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან პროექტის შეთანხმების დოკუმენტი წარმოდგენის საფუძველზე.

6.3. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი არის სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტების შეფასების

სამსახურის არქიტექტორი ჯუანშერ შველიძე.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშის ნომერზე: GE57BG0000000863962100; სს საქართველოს ბანკი; ბანკის კოდი BAGAGE22; ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების თითოეული ეტაპის და საბოლოო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდებაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და მიმწოდებლის მიერ დადგენილი წესით საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენის (თუ მიმწოდებელი არის დღგ-ს გადამხდელი) საფუძველზე.

7.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების „7.2. პუნქტით“ გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.4. მიმწოდებლის არგუმენტირებული მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია საავანსო ანგარიშსწორება მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 50%-ის ფარგლებში, შემსყიდველთან შეთანხმებული საქართველოში მოქმედი საფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემული, შემსყიდველთან შეთანხმეული შინაარსის უპირობო, გამოუთხოვადი წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს მომსახურების მიწოდების საბოლოო ვადას.

7.5. საავანსო ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტის გათვალისწინებით შემსყიდველი უფლებამოსილია შეამციროს მოთხოვნილი ავანსის მოცულობა, ასევე განსაზღვროს საავანსო ანგარიშსწორების პერიოდულობა.

7.6. თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი, წარმოადგენს წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო გადახდა) საბანკო გარანტიას საავანსო თანხის 50%-ის ოდენობით.

7.7. წინასწარი ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მის მიერ შესაბამის თანხაზე გაცემული წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.8. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში თავდაპირველად განხორციელდება საავანსო თანხის დაქვითვა სრულად.

7.9. მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია ანგარიშსწორება განხორციელდეს ცალკეული ეტაპების მიხედვით, შემდეგი პროპორციით:

7.9.1. დანართი N1-ით განსაზღვრული I ეტაპით გათვალისწინებული - **საძიებო სამუშაოები, საპროექტო ტერიტორიის კვლევა**, არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 30% (16816,8 ლარი).

7.9.2. დანართი N1-ით განსაზღვრული II ეტაპით გათვალისწინებული - **ესკიზური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება** 30% (16816,8 ლარი).

7.9.3. დანართი N1-ით განსაზღვრული III ეტაპით გათვალისწინებული - **დეტალური საპროექტ-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება,** არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 40% (22422,4 ლარი).

8. მომსახურების ხარისხი და გარანტია

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, არ გამოავლენს ხარვეზებს და შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

9. შესყიდვის ობიექტის საკუთრება, კონფიდეციალურობა და სავტორო უფლება

9.1. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ყველა სახის მასალა (გამოკვლევა, ანგარიშები ან სხვა მასალები, გრაფიკა, პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა დოკუმენტები) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადაში და მისი შეწყვეტის შემდგომაც მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და მისი შემადგენელ ყველა ნაწილთან დაკავშირებულ ინფორმაციის კონფიდეციალურობის დაცვა.

9.3. საავტორო ულების საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. მხარეთა ვალდებულებები

10.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

10.1.1. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება.

10.1.2. დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

10.1.3. დროულად და საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება ჩართულ მხარესთას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

10.2. შემსყიდველი ვალდებულია:

10.2.1. დაფინანსების წყაროთი გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს მიმწოდებლის დროული და სრული დაფინანსება.

10.2.2. დროულად განიხილოს მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

10.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

11. მხარეთა უფლებები

11.1. მიმწოდებელს უფლება აქვს:

11.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

11.2. შემსყიდველს უფლებააქვს:

11.2.1. აწარმოოს მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალებულებების კონტროლი.

11.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების წყაროს მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა

მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

13.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

13.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

13.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

15.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

16. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

16.1. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ეტაპების ვადის დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

16.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე გადაუხადოს პირგასამტეხლო მიმწოდებელს შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

16.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

16.5. იმ შემთხვევაში თუ, წიანდმებარე ხელშეკრულების 16.4. პუნქტით გათვალისწინებული პირობა დადგა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის გამო, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე შესაბამისი შეტყობინების წარდგენიდან 10 დღის ვადაში უზრუნველყოს დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა შემსყიდველის მიერ მითითებულ რეკვიზიტებზე.

16.6. შემსყიდველი უფლებამოსილია ხოლო მიმწოდებელი თანხმაა დაკისრებული პირგასამტეხლოს გამოქვითვა განხორციელდეს საანგარიშსწორებო თანხიდან, ასეთ შემთხვევაში პირგასამტეხლოს სახით დაკავებული თანხის შესაბამის რეკვიზიტებზე გადარიცხვას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

17.1. მხარეთა შეთანხმებით.

17.2. ხელშეკრულების „16.4. პუნქტით“ გათვალისწინებული პირობის არსებობისას.

17.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

19. განსაკუთრებული პირობები

19.1. ხელშეკრულება ხელმოწერილია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

“შემსყიდველის სახელით“
სსიპ საქართველოს მუნიციპალური
განვითარების ფონდის აღმასრულებელი
დირექტორი გიორგი შენგელია

„მიმწოდებელის სახელით“
შპს არქიტექსი-ს დირექტორი
ვლადიმერ ტეფნაძე

Digitally signed by Municipal Development Fund of Georgia
Date: 2019.07.17 14:46:01 +04'00'

LTD "ARCHITEX"

Digitally signed by LTD "ARCHITEX"
Date: 2019.07.17 14:39:17 +04'00'